ხელშეკრულება N94
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თელავი 04 ივლისი 2019წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ სსიპ „ვაჟა ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი“, სამხატვრო ხელმძღვანელის პაატა გულიაშვილის სახით, შემდგომში წოდებული „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ, იმ ალექსანდრე მეგუთნიშვილი (20031007265), შემდგომში „მიმწოდებელი“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 სპექტაკლის მსახიობის მაკიაჟის მომსახურების შესყიდვა.
1.2 შესყიდვის საშუალება – გამარტივებული შესყიდვა.
1.3 შესყიდვის საფუძვლი - მონეტარული ზღვრის დაცვით.
1.4 კლასიფიკატორის (CPV) კოდი: 98322140 - მაკიაჟის სპეციალისტის მომსახურება.
1.5 დაფინანსების წყარო - 2019 წლის საკუთარი შემოსავლები.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. ხელშეკრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.
2.2. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, ინსპექტირების ჯგუფი, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული შესყიდვის ობიექტი, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოასწოროს წუნი, იმ შემთხვევაში თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული წუნდებული საქონლის/მომსახურების ღირებულება.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების დადებიდან არაუმეტეს 5 დღე.
3.2. მიწოდების ადგილი ქ. თელავი.

4. მხარეთა უფლება - მოვალეობები

4.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებული საქონლის/მომსახურების ღირებულება.
4.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია დაუყონებლივ, წერილობითი ფორმით აცნობოს „მიმწოდებელს“ წუნის შესახებ.
4.3. მიწოდებელი საქონლის/მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს. პირობების ცვლილების შემთხვევაში ფორმდება შეთანხმება.
4.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია გადასცეს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დადგენილ ვადებში;
4.5. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ მოქმედებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის სრული დაცვით.
5.2. შესყიდვის ობიექტი, ან მისი ნაწილი (ეტაპი) მიღებულად ითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.3. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრისას, „შემსყიდველს“ უფლება აქვს „მიმწოდებლის“ ხარჯზე განახორციელოს აღდგენასთან დაკავშირებული ოპერაციები.

6. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

6.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **130 (ასოცდაათი)** ლარს.

6.2. ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს დღგ-ს გარდა.

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1. მომსახურების ღირებულების გადახდა ხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7.2. მიწოდებული მომსახურების სრული ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარებში „მიმწოდებლის“ საბანკო რეკვიზიტებზე.

8. ფორს-მაჟორი

8.1. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემკვეთსა და/ან შემსრულებელს შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინის და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება 3 თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრამდე.

11. სხვა პირობები

11.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

11.2. სამხატვრო ხელმძღვანელი პაატა გულიაშვილი ასევე ვადასტურებ, რომ არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

11.3. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

11.4. ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე ელექტრონულად და ინახება მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

სსიპ „ქ. თელავის ვაჟა ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი“
ს.კ. 231169641
ქ. თელავი, ერეკლე II მოედანი N7

სამხატვრო ხელმძღვანელი
პაატა გულიაშვილი

„შემსყიდველი“ Paata Guliashvili

Digitally signed by Paata Guliashvili
Date: 2019.07.05 11:14:17 +04'00'

„მიმწოდებელი“

იმ ალექსანდრე მეგუთნიშვილი
ს.კ. 20031007265
მის: თელავი, ს. წინანდალი
ბანკი: სს საქართველოს ბანკი
ა/ა Ge03BG0000000177787400
BAGAGE22
ტელ: 555301965
ალექსანდრე მეგუთნიშვილი

„მიმწოდებელი“